

მოდის საქართველო ა, თქვენი ჯიზისა, რომ მტარი ვერაბი კვდაბოდას უიზისბან!



გამარჯვების
შემდეგ
26.06.2024

ეროვნულ გუნდს 30 მილიონი ლარი გადაეხება


„ქართული ოცნების“ საპარტიო თავმჯდომარე ზიძინა ივანიშვილი საფეხბურთო ნაკრებს პორტუგალიისთან უდიდეს გამარჯვებას ულოცავს! ამასთანავე, ზიძინა ივანიშვილის თაოსნობით, ესპანეთთან მერვედღიან ლურ შეხვედრაში მოგების და შემდეგ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ნაკრები ჯილდოს სახით დამატებით კიდევ 30 მილიონ ლარს მიიღებს. „ქართული ოცნების“ საპარტიო თავმჯდომარე მაღლობას უხდის

საფეხბურთო ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს, სამწვრთნელო შტაბს და ქართველ ქომაგებს ამ ისტორიული და საოცნებო გამარჯვებისთვის. გმადლობთ, დიდი პატივით, თქვენ ყველა დროის ყველაზე დიდ ქართველ ქველმოქმედებს თქვენი შესანატრი გულუხვობით, მოთმინებით, შიტევების, სიკეთის ნიჭით აჯობეთ! ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

3 „ავაზაკმა კაზარაშვილმა „პოლიგრაფსლოვკა“ განსნილად გამოაცხადა!..“

დაღესტნის ბერაქვაბით კავკასიაში აუთოქების საურთხე იზრდება! 8 რა უნდა ქნას საქართველო?! 6

მსაზრობისა და არქივებულის რაინდი 6



მხატვრობისა და არქიტექტურის რაინდი

გაეოგრაფი გიორგი ავსაჯანიშვილის შემოქმედებითი ალბომი

სიმბოლიკების დიდოსტატის გიორგი ავსაჯანიშვილის საკუთარ თავთან მუდმივ დიალოგსა და სიღრმისეულ ძიებას. მთელი 40 წლის მანძილზე, 1961-2000 წლებში, მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა და „საქქალაქმშენსახპროექტში“ დაიწყო მუშაობა პროექტის მთავარ არქიტექტორად, ერთმნიშვნელოვნად იარა ადამ-ვალე გვით. წარმატება თავიდანვე დაეგემა, მისმა სადიპლომო ნამუშევარმა საკავშირო კონკურსის პრემია დაიმსახურა. ასე დაიწყო... გიორგი ავსაჯანიშვილის პროექტების მიხედვით ბევრი შესამჩნევი ნაგებობა აშენებული: ვაგრაში დასასვენებელი სახ-

ლის შექმნილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განაშენიებისა და დაბა ყაზბეგის გენერალური გეგმა, თბილისის 35-ე საფეხურთო სკოლის პროექტები. არაერთგზის გაიმარჯვა სხვადასხვა კონკურსში, მოიპოვა პრემია... მაგრამ არის შემოქმედების მეორე მხარეც, რომელშიც არქიტექტორ გიორგი ავსაჯანიშვილს არანაკლები მიღწევები აქვს. იგი მრავალი ნიგნის მხატვარ-ილუსტრატორია. 2019 წ. მხატვრულად გააფორმა ფენიმორ კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი“ ნ მშვენიერი ილუსტრაციითა და რამდენიმე დიდებული დეკორატიული ელემენტით. სრულიად ახალგაზრდულ ასაკში იყო სსრ კავშირისა და საქართველოს


შს მართლაც გამორჩეული ნიგნი – თამაზ ნათაძის „არქიტექტორი გიორგი ავსაჯანიშვილი“ შარშან, 2023 წელს გამოცხადდა და მკითხველს გაცნობს ნიგნის მხატვრისა და დიზაინერის, შესანიშნავი არქიტექტორის მრავალფეროვანი და მდიდარი შემოქმედება. მისი შექმნის იდეა 2015 წელს 12 ოქტომბერს საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში საზოგადოების წინაშე ცნობილი არქიტექტორების გივი ჯაფარიძის, გიორგი ავსაჯანიშვილის, ზურაბ კოპალაძის, კობა ხატიასვილისა და სხვათა ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში – ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა აღმოჩნდა. ამ ნიგნით სრულიად განსხვავებული რაკურსით წარმოჩინდება გიორგი ავსაჯანიშვილის პიროვნული ხიბლი და პროფესიული ოსტატობის მრავალი საიდუმლოება. იგი ინფორმაციულად მრავალფეროვანია, ორიგინალური სტრუქტურითა და ძარღვიანი ქართულით გამოირჩევა და ერთობ საინტერესო საკითხავია, რაც მთავარია, ნათლად გვიჩვენებს საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორის, ღირსების ორდენის კავალერის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატის, არქიტექტურის რაინდის, ცნობილი გრაფიკოსის, დეკორატორის,




„ბორჯომის“ კლბორმის შენობა თბილისში

ლი „მესაზღვრე“, წყალტუბოში საკავშირო მნიშვნელობის სანატორიუმი „გეოლოგი“, ცხინვალში პარტიის საოლქო კომიტეტის შენობა, თბილისში ვაგბალი „ბორჯომი“, რომელმაც საკავშირო მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა... ყოველ პროექტს წინ უძღოდა დაძაბული შრომა, ლანდშაფტის საფუძვლიანად შესწავლა, ბუნებასთან ჰარმონიულად შერწყმის, სინთეზის, შენობის ფუნქციონალობის, ხაზთა სილამაზის ძიება. სანატორიუმი „გეოლოგი“, რომელიც მწვანე გორაკის შუა კალთაში დგას, წარმოადგენს პრიზმას, რომელიც ცალი ფერადით იყრდნობა მიწას და შემოსალტულია აივნების ჰორიზონტალური ხაზებით... თბილისში საღვური „ბორჯომი“ რკინის მსუბუქი კონსტრუქციის, რომელიც ლიანდაგს დახრილი თალივით ახურავს და საოცრადაა შერწყმული მთელი მოედნის არქიტექტურულ ანსამბლთან ზეაღმავალი კიბეების საფეხურებით. ყოფილი საოლქო კომიტეტის შენობა ცხინვალში ესაა ქვის სწორკუთხედების პარალელური ვერტიკალების მკვეთრი სიმკაცრე, რაც გამბატონებულია მასში განლაგებულ სიმბრტყეებზე – სხლომათა დარბაზზე, მიბლიოთეკაზე, სასადილოზე... ბატონი გიორგის პროექტების მიხედვით აგებული ყველა შენობის ლაიტმოტივია აზრისა და გრძნობის ერთიანობა, მკაცრი სილამაზე, ხაზებისა და ფორმების რაციონალობა, რაც არ ითხოვს გარეგან შელამაზებას, „კოსმეტიკას“, ხელოვნური გარემო მაქსიმალურადაა შერწყმული ბუნებრივი ლანდშაფტის თავისებურებებთან.

ექსპოზიციების მთავარი მხატვარი საერთაშორისო გამოფენებზე იზმირში, დამასკოში, პლოვდივში, ბარსელონაში, ბუქარესტში, მიუნხენში. დაჯილდოებულია საერთაშორისო ოქროს მედლებით. გარდა იმისა, რომ გაფორმებული აქვს 1000-მდე ნიგნი, შექმნილი აქვს პლაკატები, ორდენები და მედლები, რომელთაგან ბევრი რესპუბლიკის საფიზიტო ბარათი გახდა. მისი თვალსაჩინო მიღწევები ნიგნის გრაფიკაში იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გაიტაცა ამ საქმემ. ნიგნის განმავლობაში გამოი-



მუშავა მკვეთრი და ლაკონური მანერა ნაწარმოების სულის გამოხატვისა, მისი კონკრეტული სახის გადმოცემისა. ამ ეტაპზე საუბარი შეიძლება დავასრულოთ იმით, რომ 2023 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ ქალბატონ თეა წულუკიანთან შეთანხმებით ქართული კალიგრაფიის დიდოსტატს გიორგი ავსაჯანიშვილს დაეწესა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერის შექმნა (ხელნაწერი უკვე მზადაა გამოსაცემად!). ბარემ აქვე ვთქვათ: სამინისტრომ დაუფინანსა გიორგის შემოქმედებითი ალბომის გამოცემა, რაზეც ვსაუბრობთ. გ. ავსაჯანიშვილმა, როგორც გრაფიკოსმა, არქიტექტორმა და პლაკატისტმა შექმნა 30-ზე მეტი სხვადასხვა მედალი. XX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს ქართული სახელმწიფო ჯილდოების შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსში, რომელშიც ცნობილი მხატვრები და დიზაინერები მონაწილეობდნენ, გაიმარჯვა გიორგი ავსაჯანიშვილმა. მას შემდეგ კონკურსს შეუერთდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი ემირ ბურჯანაძე. ქართული ორდენებისა და მედლების ესკიზებს საფუძვლად ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა დაედო. ასე შეიქმნა დავით აღმაშენებლის, ვახტანგ გორგას-



სნინვალის ადმინისტრაციული შენობა



რეზი საუკუნე



სომხური ფეხბურთის მსახიობი, მანკო მანკიანი, რომელიც 2024-ის საგზური მონაწილეობის შემდეგ...

დღეს, მას შემდეგ, რაც 26 მარტს ევრო - 2024-ის საგზური მონაწილეობის შემდეგ...

მუნებრივია, სათანადო პატივს მივაცემთ მათ დიდოსტატობას, ვინც სასიკეთო კვირები მუნების საოცარ ქმნილებად აქცია...

მოკლედ, ასე მოვედით ხვიას ეპოქამდე, რომელმაც მინავლემულ ნაღვერდალს სული შეუბერა...

ჯერ სადა ხართ - ეს მხოლოდ ურნალია. ახლა კი, მოდით, გვლზენკირხენის აუფ შალკეზე შევიხედოთ.

სადენილი მართული ოსნაბ

გერმანელი კომენტატორი: „ასანი ვინ ყოფილან, ის იბრძვიან მართვალები, თითქოს სვალინდელი დეა აღარ არსებობდეს, ან მოგაბა, ან სიკვდილი...“

ხვიან კვარაცხელიას კიდევ ერთი გავლენა, რომელმაც მრავლის-მთქმელი მატჩისმემდგომი კომენტარით ბევრი დააღუმა...

ალბათ, შეუძლებელია სრულად ასახო ლევან კობიაშვილის მშობლიურ გერმანულ სარმი-ელზე ათიათასობით თანამოქმის თანხლებით განვითარებული მო-

გვეწვია, მაგრამ იმავე ანგარიშით გაანზილეთ, ნახევარი საუკუნის წინათ კი უფლებს პრესტიჟულ ოთხთა ტურნირზე მათი საკულტო კლუბი ბენფიკა დაჯაბნეთ და ესპანეთიდან კარაველას ულამაზესი თასით დაბრუნდით.

აქვე გასათვალისწინებელია ადამიანური ფსიქოლოგიური ნიუანსიც, მიზნის ნაადრევად მიღწევას და უმოტივაციოდ თამაშის ვერაგობაში რომ გამოიხატება.

კერძოდ, ევრო-2008-ზე თურქეთთან და ჩეხეთთან გამარჯვებას შევიცარაისთან ჩავარდნა მოჰყვა, ხოლო მუნდიალ - 2022-ზე ურუგვაისა და განასთან დადგმული სპექტაკლები კორეასთან ნახევარი ძალით ფაფხურით გაუფერულდა.

მამოშუებელი კითხვები და წინა მატჩის გამოტოვებით დასვენებული ჩაკვეტაძე დაბრუნდნენ, მარცხენა მცველად კი სანიოლმა ლოჩოშვი-



ლის გამწვანებით ყველანი გავვაოცა, მაგრამ ვილი აქც ბრძენი აღმოჩნდა და კრემონეზეს ქართველმა ლეველიერმა ძირითადი ფუნქციის ღირსეულად შესრულებასთან ერთად პირენეელთათვის მკვლელი პენალტი მოინადირა.

ლი ეტაპი ასეთი ინდივიდალური მონაგრით დავეხურეთ: საუკეთესო მეკარე - მამარლაშვილი, საუკეთესო მომხარბი - მიქაუტაძე და გამორჩეული დრიბლოერი - ჰვარაცხელია!

გვაფასებენ

ესპანეთთან მატჩი მართვალები კიდევ ერთი გადაბრუნების მოხდას შევადგინან - „ნიუ-იორკ თაიმსი“

„ევრო 2024-ის ყველაზე დიდი შოკი (FIFA-ს მსოფლიო რეიტინგის მიხედვით), საქართველომ პორტუგალია 2:0 დაამარცხა, რითაც ქვეყნისთვის სადემიუტო მასშტაბურ ტურნირში პლეიოფში ადგილი უზრუნველყო“ - წერს გამოცემა.

„საქართველოს გასაოცარი გამარჯვება ნიშნავს, რომ თურქეთის შემდგომ მესამე ადგილზე გავიდნენ და მათი ჯილდოა - კვირას კოლნში, ესპანეთთან მატჩი. ეს იქნება რთული პერსპექტივა, შეხვედრე ტურნირის ერთადერთ გუნდს, რომელსაც 100-პროცენტით მოგვების მაჩვენებელი აქვს. მაგრამ ისინი ეცდებიან, კიდევ ერთი გადართვალემა მოახდინონ“ - აღნიშნავს „ნიუ-იორკ თაიმსი“.

ევროპის ჩემპიონაზა პორტუგალიასთან საქართველოს ეროვნული ნაკრების გამარჯვებაზე საერთაშორისო მედია წერს. BBC-ის სტაბილური კომენტარით, რომ საქართველომ EURO 2024-ზე პორტუგალიასთან გამარჯვებით ისტორია დაწერა.

CNN ასევე წერს საქართველოს სენსაციურ მოგებაზე, რის შედეგადაც მერვედფინალში ადგილი დაიკავეთ. ბრიტანული Sky News ხვიან კვარაცხელიას პირველივე წუთებზე გატანილ გოლსა და გიორგი მიქაუტაძის შესრულებულ თერთმეტმეტრიანზე წერს. „ისტორიული ევრო შოკი“ - წერია სტატი-

ის სათაურში, რითაც Reuters-ი საქართველოს ნაკრების ჯგუფიდან გასვლას გამოეხმაურა.

Guardian-ი პორტუგალიისა და საქართველოს მატჩს ახაზავს, რომელიც საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.

„ეს იყო დამე, რომელიც დიდხანს დარჩება ათასობით გულშემოტკივრის მესხურებაში, რომლებიც აქ იყვნენ ისტორიის სანახავად. ეს იყო პირველი შემთხვევა რონალდოს კარიერაში, როდესაც ვერ გაიტანა გოლი დიდი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე“ - წერს Guardian-ი.

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუის დე ლა ფუენტემ საქართველოს ნაკრებთან მოგაზალ დაპირისპირებაზე ისაუბრა.

მოგახსენებთ, ვილი სანიოლის განვრთნილებმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში პორტუგალია 2:0 დაამარცხეს და მერვედფინალის საგზური მოიპოვეს, სადაც ჩვენი გუნდის მეთაქე სწორედ „ფურია როხა“ იქნება.

„მინდა, მაქსიმალური პატივისცემა გამოვხატო ჩვენი მეთაქის მიმართ, რომელმაც პორტუგალიის წინააღმდეგ შესანიშნავი და ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა.



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ გერმანიაში საქართველო-პორტუგალიის მატჩის დასრულების შემდეგ ურნალისტებს ვაუწყებდა.

„პორტუგალიამ ბოლომდე იომა, მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილი აძლედა მოღუნების საშუალებას, ბოლომდე იბრძოლეს, ბოლომდე იომეს და ასეთი გუნდი დაეამარცხეთ. ეს კიდევ უფრო მეტად დასაფასებელია, ესპანეთთანაც მოგებისთვის უნდა გავიდეთ. ყველა თამაში რთულია ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ ესპანეთთანაც დარწმუნებული ვარ, ბიჭები მოგებისთვის გავლენ, დანარჩენი ვნახოთ, ბურთი მრგვალია და ყველაფერი შესაძლებელია“ - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.


როგორც ეს ოსნაბები ავნიშინეს, ასე უნდა ავიხილავთ შავლები ოსნაბები და ჩვენი უკვე შეძლება ვაბაზაზუს უნდა გავიდეთ.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა. „კოლეგებო, სანამ რეგისტრაციას ჩავატარებთ, მანამ მეც მინდა მოგმართოთ თქვენც და ჩვენს საზოგადოებას, მართლაც დაუვიწყარი

სსოვნა

სწოვილი მეცნიერი, მოგლას შვილიშვილი გარდაიცვალა

79 წლის ასაკში გარდაიცვალა გიორგი ლეონიძის შვილიშვილი (პოეტის უფროსი ქალიშვილის, ნესტანის შვილი), მეცნიერი



გიორგი ქავთარაძე.

საგარეჯოს ა(ა) იპ კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექცია და ადმინისტრაციული პერსონალი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გიორგი ლეონიძის შვილიშვილის, ბრწყინვალე მეცნიერის, არქეოლოგის და ისტორიკოსის გიორგი ქავთარაძის გარდაცვალების გამო. უსამძიმრებს და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

გაზეთ „კავკაზის“ 224 შეკვრის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები დასრულდა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილებამ ვიდეო ერთი დიდი პროექტი განახორციელა – დასრულდა გაზეთ „კავკაზის“ (1846-1918) 224 შეკვრის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები. ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, თითოეული შეკვრა მოიცავს რამდენიმე თვის ან ერთი წლის ნომრებს.



შეკვრების ნაწილს შეუნარჩუნდა თავისი ყდა, უმეტესობას კი ახალი, უნიკალური ტყავის ყდა გაუკეთდა, გამოყენებულია რელიეფური ყუის დამზადების მეთოდი და მოქროვება. ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი გაზეთ „კავკაზის“ სრულ კოლექციას ინახავს, რომელიც ამჟამად მთლიანად აღდგენილია. გაზეთ „კავკაზის“ ნომრები გაციფრებულია და ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზეა: www.nplg.gov.ge განთავსებული. ბაზაზე წვდომა თავისუფალია და მომხმარებელი მას აქტიურად იყენებს. ამდენად, გაზეთის შეკვრები იშვიათად გაიცემა მკითხველზე. სრულყოფილი ელექტრონული ბაზა და ყველა თანამედროვე მეთოდისა და წესის დაცვით შესრულებული კონსერვაცია-რესტავრაციის სამუშაოები არის იმის პირობა, რომ გაზეთ „კავკაზის“ უნიკალური კოლექცია მომავალ თაობებს შეუნარჩუნდეს.

შეგახსენებთ: გაზეთი „კავკაზი“ კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვის ინიციატივით 1846 წლიდან გამოდიოდა. პერიოდული გამოცემა 1918 წლამდე ასახავდა კავკასიის რეგიონში მიმდინარე მიწვევით მოვლენებს.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზმ ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ჭიათურმაგანუმ ჯორჯიას“ მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტში 110 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირდელეს“ გაყვანისა და ექსპლუატაციის პროექტი გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზმ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 6 აგვისტო, 13:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირდელეს ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 6 აგვისტო, 16:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 7 აგვისტო, 11:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კეახტირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ieic.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 20 ივნისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალის“ მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტში მდ. ძვერულაზე ძვერა ჰესების კასკადის მშენებლობა და ექსპლუატაცია გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 15 ივლისი, 13:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 15 ივლისი, 16:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ეჭერის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 16 ივლისი, 12:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ძვერის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 17 ივლისის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ieic.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 19 ივნისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „სამგორი-ველის“ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში გაჯის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 17 ივლისი, 12:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 18 ივლისის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ieic.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 20 ივნისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ბილჯ ვოტერის“ მიერ ხობის მუნიციპალიტეტში, ჭალადიდის თემის სოფელ საბაჟოში, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 11 ივლისი, 14:00 საათი, ხობის მუნიციპალიტეტში, ჭალადიდის თემის სოფელ საბაჟოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შენობა. საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 16 ივლისის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ieic.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 18 ივნისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.




ალავერდის სამონასტრო კომპლექსს ყველა სახურავი დაუზიანდა!

„ყველა სახურავი არის დაზიანებული“, – ამის შესახებ აბზა ალავერდელელმა მიტროპოლიტმა დავითმა ახმეტის მუნიციპალიტეტში გუმბაზის სტიქიის შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომლის შედეგადაც ალავერდის სამონასტრო კომპლექსი დაზიანდა. „გარდა ამისა, ქვემოდან როდესაც უყურებ, ჩანს, რომ გუმბაზის კარავს მოხნილი აქვს თუნუქი. სპეციალისტებმა უნდა ნახონ, რადგან ამ ქარბორბალას დარტყმა იყო ძალიან ძლიერი. მათ უნდა ნახონ, ხომ არ არის ხილული მზარები. ეს ადგილზე უნდა შემოწმდეს“, – აღნიშნა მიტროპოლიტმა.

„თეატრალური იერეთი – 2024“-ის ბრანაჟი ხონის სახლსო თეატრს გადაეცა



საერთაშორისო ფესტივალის „თეატრალური იერეთი - 2024“-ის ბრანაჟი ხონის სახლსო თეატრს გადაეცა საუკეთესო სექტორალური – „აზნაურები“ (რეჟისორი გოჩა კახანაძე) პროფესორის უილიამის გადამწყვეტილებით, ფესტივალის დასრულების ცერემონიაზე 13 ნომინაციაში გამარჯვებულები დასახელდნენ. ფესტივალის ფარგლებში ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში იერეთის 20-მდე პროფესორი, სამოქალაქო და სახალხო თეატრი მონაწილეობდა, გარდა ამისა, სტუმრის სტატუსით ჩაერთო მოლდოვისა და ლიეტუვას თეატრები.



ზნეობრივად გაკომპრეზული აპერიკა რუხველების ბიბლიოთეკიდან აინშტაინის წერილს ყიდის!

წერილი, რომელიც მსოფლიოში ცნობილმა ფიზიკოსმა ალბერტ აინშტაინმა აშშ-ის 32-ე პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს მისწერა, სექტემბერში აუქციონზე გასაყიდად გაიტანენ. „ალბერტ აინშტაინის ორგვერდიანი წერილი, სადაც ის აშშ-ის იმუამინდელ პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს აფრთხილებს იმის შესახებ, რომ ნაცისტურმა გერმანიამ შესაძლოა ჩაატაროს ბირთვული ცდები ატომური ბომბის შესაქმნელად, გასაყიდად იქნება გატანილი Christie's აუქციონზე სექტემბერში“, – ნათქვამია სტატიაში. წერილი, რომელიც 1939 წლის 2 აგვისტოთი თარიღდება, დანერგულია პოლონეთში გერმანიის შეჭრამდე ერთი თვით ადრე. წერილი იწყება შემდეგი სიტყვებით: „სერ, უახლესმა პრობლემა ბირთვულ ფიზიკაში შესაძლებელი გახდა ურანის ახალი და მნიშვნელოვანი ენერჯის წყაროდ გარდაქმნა“. წერილის საწყისი ფასი 4 მილიონი დოლარი იქნება. ამ დროისთვის აინშტაინის წერილი რუზველტის ბიბლიოთეკაში, ნიუ-იორკის ჰაიდ პარკში ინახება.

„ფერისი“ და „იველი“ – ბულგარეთის ფესტივალის გამარჯვებულები

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები „ფერისი“ და „იველი“ ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში გამართული ფესტივალის გამარჯვებულები არიან. ფესტივალ-კონკურსში ანსამბ-



ბლებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ორივე ანსამბლი, ბულგარეთში, კომპანია „MAGICGROUP“-მა და „ART FEST ASSOCIATION“-მა მიიწვია. „ფერისის“ სამახსოვრო



დიპლომებსა და მედლებთან ერთად, ფულადი ჯილდოც გადაეცა და ბულგარეთში, მომავალ წელს დაგეგმილ ფესტივალზე კვლავ მიიწვიეს მონაწილეობის მისაღებად. ანსამბლ „ფერისის“ ქორეოგრაფი ნინო მდივნიშვილი ხელმძღვანელობს, ხოლო „იველი“-თა გაბელაია.

ლადო კახაიის ნიშნის პრეზენტაცია

პარლამენტში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვლადიმერ კახაიის ნიშნის – „ანაშენის ამნეზია და ამნეზიის ანაშენი“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებულში თავმოყრილი ლექსები და მოსაზრებები, ავტორის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს მოიცავს. „თქვენ წინაშე ჩემი ცხოვრების ვირტუალური ანაშენი – „ანაშენის ვიტე“ ანუ ნიშნი. თუ დაკვირვებით გაეცნობით, გაიგებთ ჩემი ავადობის მიზეზს.



ავადობის, რომლის განკურნება მხოლოდ დროისთვის მიმინდია“, – განაცხადა ავტორმა პრეზენტაციაზე. რიგით მეოთხე ნიშნის გამოცემა ვლადიმერ კახაიის პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა ლომინაძემ და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ელისო ბოლქვაძემ მიულოცეს. გამომსვლელებმა საკანონმდებლო პროცესებში მისი ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და ასევე ხაზი გაუსვეს ვლადიმერ კახაიის პროფესიულ და ავტორიტეტულ თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ფარგულე საარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.



მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაია (599-36-00-35); რედაქტორის მოადგილე: მამუკა ვაშაკიძე (597-22-07-04), შემოქმედებითი ჯგუფი: ალექს ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, თათარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი, პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი: რუსუდან ქობულაია (577-77-27-17), სტილისტ-კორექტორები: ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი, ოპერატორი: შორენა გვილია, დამკაბადონებელი: გიორგი მახარაშვილი, გამეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი: გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის # 116
წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგზავნილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ფარგულე საარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იხეივანე სტამბა „კოლორი“ ე. ბაღდავაძის №3

„კოლორი“ ჯგუფი

UAC(უბაკ)070.4(479.22) C-323



წავლამის დანაკარგი: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

უხსოვარი პალატის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8221; ევრო - 3.0151;
ბრიტანული ბირჟანა სტერლინგი - 3.5733;
100 რუბლი - 3.2387; თურქული ლირა - 0.0857;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6612;
1000 სომხური დრამი - 7.2766.

აპრილი 28 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +26
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +24
თბილისი: ღამე +20, დღე +29

გაზეთის მომსახურების ცენტრი
გამოცემა
ორშაბათს, 1 ივლისს